თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7262917

ნომერი: AR11058986

თარიღი : 26.09.2024

გაცემის თარიღი : 28.10.2024

გაცნობის თარიღი : 28.10.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაღლაკელიძე პ/ნ 01008022482
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 50, ბინა 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 26 სექტემბრის №AR11058986 განცხადებით მომართა გიორგი მაღლაკელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის

23 აგვისტოს №5544764 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებით N01.72.14.032.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ოთხი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 23 აგვისტოდან 2023 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 31 ივლისის №6583016 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 31 ივლისიდან 2025 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 30 მაისის №7056561 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებაში საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 1425.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1483.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 958.0 კვ.მ-ის ნაცვლად 946.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 193.2 კვ.მ-ის ნაცვლად 188.00 კვ.მ., საერთო ფართობი 2577.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2618.5 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 1483.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 946.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 188.00 კვ.მ., საერთო ფართობად: 2618.5 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 აგვისტოს №5544764 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.